ოქმი:**ო05. 3726175001**

თარიღი:**24/06/2026**

ოქმი N 9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2026 ივნისი

ქ.ოზურგეთი

15:00 – 16:00-საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ქ. ხომერიკი, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, გ. კილაძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ლ. მესხი, ი. დობორჯგინიძე, თ. ქავთარია, ე. გორდელაძე, გ. სირაძე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-ს. რამიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა -პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ” -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესხებ” ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის N 13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი: მარიამ დარჩია

3. „ინფორმაცია-ზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურისა და იურიდიული განყოფილების მიერ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, მ. ჩხიკვიშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ პროექტი მომზადებულია მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების შესაბამისდ და აწესრიგებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების ყოლისა და მოვლა-პატრონობის საკითხებს, შემდეგ კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო დადგენილების მუხლები. დადგენილების პროექტის გაცნობის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს სხდომის თავმჯდომარის მ. ჩხიკვიშვილის წინადადებას -პროექტი წარედგინოს საკრებულოს სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, მ. ჩხიკვიშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, თანამომხსენებელმა მ. დარჩიამ კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო ის ცვლილებები, როლებიც შეტანილი იქნება დადგენილების სხვადასხვა მუხლებში. დადგენილების პროექტის გაცნობის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ ამ დადგენილებაში ცვლილებას წესით უნდა ახლდეს ბიუჯეტის შესაბამისი ცვლილება, თანამომხსენებელმა მ. დარჩიამ განმარტა, რომ ბიუჯეტში ცვლილება არაა გათვალისწინებული, თანადაფინანსება ხდება 17-ბენეფიციარზე. კომისიის წევრმა ხ. ცერცვაძემ განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით „დღის ცენტრში“, რომელიც ახდენს ამ ბავშვების მომსახურებას, აღრიცხულია 25 ბენეფიციარი. კომისიის წევრების დაინტერესება გამოიწვია დაფინანსების გარეშე დარჩენილი 8-ბავშვის პრობლემამ, კომისიის წვრმა გ. ჩავლეშვილმა გამოთქვა აზრი, რომ ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდით შეაძლებელია 8-ბენეფიციარის დაფინანსებისათვის ბიუჯეტში დამატებით თანხის მობილიზება, ანუ აუცილებელია ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილების შეტანა. მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ს. რამიშვილმა განაცხადა, რომ 17-ბენეფიციარის დაფინანსბა მორგებულია მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსავლებზე. სხდომის თავმჯდომარის მ. ჩხიკვიშვილის აზრით დამატებითი თანხების გამოყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში არსებული თანხის გაცემისათვის შემუშავებული უნდა იქნას ბენეფიციართა შერჩევის დამატებითი კრიტერიუმები, ან არსებული თანხა გადანაწილდეს 25 -ბენეფიციარზე. კომისიის წევრ ლ. კილაძის აზრით აუცილებელია ბიუჯეტში ამ პროგრამისთვის დამატებითი თანხის გამოყოფა და 25 ბენეფიციარის დაფინანსება.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას - დადგენილების პროექტი, პრობლემის აქტიურობიდან გამომდინარე, წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, მ. ჩხიკვიშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი, კონკრეტული ინფორმაცია საკრებულოს კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ინფარმაციის ცნობად მიღება და სკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენა განხილვისა და

ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N1 საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და დამტკიცების, N2 საკითხი განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების, ხოლო N3 საკითხი განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი